

## 15 მარტიდან მართლმადიდებელი მრევლისთვის დიდი მარხვა იწყება



15 მარტიდან მართლმადიდებელი მორწმუნე მრევლისთვის დიდი მარხვა იწყება. ძველი ქრისტიანები დიდმარხვაში, და განსაკუთრებით პირველ შვიდეულში, მეტად მკაცრად მარხულობდნენ: მთელ დღეს ტაძარში ატარებდნენ და ჭამდნენ უბეთო საჭმელს – დღეში ერთხელ მზის ჩასვლის შემდეგ. თუმცა, მარხვის სიმკაცრეზე კურთხევას მრევლს მოძღვარი აძლევს.

რაც შეეხება ლოცვას, დილითა და საღამოს დამატებით იკითხება წმ. ეფრემ ასურის სინანულის მოკლე სავედრებელს „უფალო და მეუფეო...“ ეს ლოცვა სრულდება 16 მეტანიით, საიდანაც 12 არის მცირე და ოთხი – დიდი მეტანია.

პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ვინც მარხვას ინახავს, სასურველია, მარხვის პერიოდში ყოველ კვირას ეზიაროს. ამისთვის საჭიროა დავესწროთ ლოცვას შაბათ საღამოს, ვთქვათ აღსარება, წავიკითხოთ ზიარების ლოცვები და კვირის წირვაზე უბმოდ მივიდეთ; ვინც შაბათს ან კვირას ვერ ეზიარა, ოთხშაბათს და პარასკევს ტარდება წირვა პირველშენირულთა ძღვენთა, როდესაც მორწმუნეთა ზიარება ხდება

შაბათის ან კვირის წირვიდან გადანახული წმიდა ნაწილებით.

მეორე, მესამე და მეოთხე შაბათი დიდმარხვისა, აგრეთვე „ხორციელის“ შაბათი არის მიცვალებულთა მოხსენიების დღეები; ეკლესიებში გაშლილია მაგიდები საკურთხისათვის და წირვის შემდეგ სრულდება საზოგადო პანაშვიდი.

უკანასკნელი დღე მკაცრი მარხვისა პირველ კვირაში არის პარასკევი. შაბათს და კვირას მკაცრი მარხვა აღარ შეიძლება. ამ ორ დღეს დასაშვებია ზეთისა და ცოტაოდენი ღვინის მიღებაც.

მარხვის შენახვა არა არის სავალდებულო 12 წლის ასაკამდე ბავშვებისთვის.

დიდი მარხვის პერიოდში ეკლესიებში სრულდება ზეთის კურთხევის საიდუმლო ანუ „შვიდჯერ ზეთისცხება“, როგორც მას დღეს უწოდებენ.

სხვადასხვა ეკლესიებში ზეთის კურთხევა დიდი მარხვის სხვადასხვა კვირაში სრულდება, რაც საშუალებას აძლევს მორწმუნეს გამორიცხოს შემთხვევითი, დამაბრკოლებელი მიზეზი და არ დააკლდეს ამ დიდი მადლის მომნიჭებელ საიდუმლოს.

წელს, ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს მართლმადიდებელი ეკლესია 2 მაისს დღესასწაულობს.